# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი.

ფასი:

წლიურათ . . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . . 3 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვირგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 106

წელიწადი მეორე

1913

კვირა, 21 ივლისი.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ИМЕРЕТИ“.

ტელეფონი № 149.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპოლამპეულის, ჭურჭ ეულო-ბის, ავეჯეულობის და შპალერის ქ. ქუთაისში.

## ფ. ს. ფილიპოვისა.

ალექსანდრეს ქუჩაზე,

მოიპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურები და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, დუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი „ლინელიუმი“, სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მჭირფასი საოჯახო ნივთები, აურებელი ასარჩევი ნიმუშები შპალერის თოფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.

პატივის ცემით ფ. ს. ფილიპოვი.

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე

წელიწადი მეორე

1913

## იმერეთი

გაზეთის ფასი:

| | |
|---|---|
| ერთი წლით . . . | 7 მანეთი, |
| ნახევარი წლით . . . | 4 მანეთი. |
| ერთი თვით. . . . | 4 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის . . | 1 შაური, |

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამი მანეთი.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ редакція газеты „ИМЕРЕТИ“

სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

ქუთაისი.

პაიზე დამყარებული ამხანაგობა

## კირაკოზოვი და ბ. გ. ოგანოვი.

გაზაფხულისა

## და ზაფხულის სეზონი

ტრიკო, კასტორი, დიოგონალი, ჩეჩუნჩა, რაგოჟი, ტილო, პარუსინა, ბატისტა, კისეია, შემიზი, ჩითი.

პოპლინი, მესალინი, ჟივრონი, ლიბერტი, ლევანტინი, სტოლსაფრები, „პოკრივალო“, პირსახოცი, ხელსახოცები, მადაპალამი, ლანკორტი.

## ახალი გამოგონება მეცნიერებაში

ერთადერთი სახმარებელი ვენახის აქიმობისათვის და მცენარეთა დასაცავათ სოკოების ავათმყოფობისაგან და მწერთაგან

## ახალი სითხე უაკმენის ⅡⅡ

უმთავრესი წარმომადგენელი მთელი რუსეთისათვის **კანტორა კლო ედურული ქუთაისში** საწყობი და ნარდი გაყიდვა **ი. გოკიელოვის შვილების სავაჭრო სახლში ქუთაისში.**

15 ივლისიდან 15 აგვისტომდი მიიღება ხელის მოწერა სიმონ ქვარიანის წიგნზე.

## „შოთა რუსთველი და მისი პოემა“

წიგნი იქნება ჩვეულებრივი ფორმატის დაახლოებით 100 გვერდამდი, შოთა რუსთველის სურათით და სხვ., ეღირება ხელის მომწერთათვის მხოლოდ ერთი აბაზი, გასაყიდათ კი მეტი ფასი ექნება.

ამ წიგნის წმინდა შემოსავალი გადაიდება შოთა რუსთველის ფონდის გასამდიდრებლათ.

ვინც აგენტობას ისურვებს ვთხოვთ გვაცნობოს. ადრესი: **ბაღის ქუჩა ს. გერსამია.**

გამომცემელი სერგო გერსამია.

## თფილისის მეოთხე რვაკლასიანი

კომერციულ სასწავლებლის ადმინისტრაცია ამით აცხადებს, რომ **მისაღები ეგზამენები მოსამზადებელ განყოფილებაში**

და 1, 2, 3, 4, 5, და 6 კლასებში დაიწყება 20 აგვისტოდან.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პირველ კლასში მიიღებიან | 10—12 წ. | მეოთხეში „ | „ | 13—16 წ. |
| მეორეში „ | „ | 11—14 „ | მეხუთეში „ | „ | 14—17 „ |
| მესამეში „ | „ | 12—15 „ | მეექვსეში „ | „ | 15—18 „ |

ადრესი: პანასევიჩის ქუჩა, № 38.

## ქალთა პროგიმნაზია

### მარიამ გვინიხიძის ასულისა

გადავიდა იმავე თფილისის ქუჩაზე ობორინის შესახვევის კუთხეში. გამრეკელის შენობაში.

მოწაფეების მიღება დაიწყება ყველა კლასში 15 აგვისტოდან.

**ძ ბ ი ლ ი ს ა ქ ი მ ი ანა ბუ-ტულოვის ასული** გადავიდა ახალ ბინაზე: პუშკინის ქუჩა, სახლი ჯანელიძისა ქალაქის საბჭოს პირდაპირ და წმ. ნინოს დიდათა სასწავლებლის გვერდით.

## აქიმი ი. ჩარექოვი

ხუთ ივნისიდან მიიღებს **კანის და ვენერიული ავათმყოფებს ახალ ბინაზე.** გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში.

## იყიდება

ქუთაისში „პოდგორნი“ ქუჩაზე რიონის პირისკენ ორსართულიანი ქვიტკირის სახლი სარდაფით.

მისამართი: „პოდგორნი“ ქუჩაზე ზეინკალი (слесарь) ერმილე ქორიძე.

საზღვარგარეთელი **სტუდენტი**

ამზადებს მოსწავლეთ გიმნაზიის ყველა კლასებისას შემდეგ საგნებში: ისტორიაში, რუსულში, გეოგრაფიაში, ქართულში. ასწავლის აგრეთვე გერმანულ (ნემეცურ) ენებს ოტტო ბაუერის ახალ სისტემაზე. შეუძლია მსურველს ერთ რომელიმე აგარაკათ წაყვეს. მიმართეთ გაზ. „იმერეთის“ რედაქციაში **ვ. ჭელიძეს.**

**შინაგან სნეულებათა ა ქ ი მ ი**

**ნიკ. ივ. შენგელია.** მიიღებს: დილით 9—11 ს., საღ. 5—7. გენერლის (გოგებაშვილის) ქუჩა, საკ. სახლი.

**ა ქ ი მ ი ქ. თ. ტყეშელაშვილი.**

ათი აპრილიდან ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგანი ვენერიული კანის**) ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში.

**აქიმი ვ. ა. ნემსაძე** ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ფირალოვის სახლი.

**გაზეთი „იმერეთი“ იყიდება** მესხეთის ქუჩაზე მოვაჭრე ამროსი ხჯინგიასთან, იქვე მიიღება ხელისმოწერაც.

# დ ღ ი უ რ ი.

ბალკანეთის საკითხში რუსეთსა და ავსტრიას შორის შეთანხმება არსებობსო:

— რუსეთის მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა ოსმალეთის წინაამდეგ ჯერ კადრა არ გაგზავნოს.

— ხონთქარმა თავის ადიუტანტს ორი ათასი გირვანქა სტერლინგი გადასცა ადრიანოპოლის ღარიბ მცხოვრებთა დასარიგებლათ.

— ფრანცი-იოსიბის განკარგულებით ჩეხთა სეიმი დაითხოვეს. ჩეხიის საქმეთა მართვა გამგეობა მოხელეთაგან შემდგარ კომისიას მიანდვეს.

— ბალკანეთის სახელმწიფოთა სამხედრო წარმომადგენლებმა დროებით ზავი გამოაცხადეს.

— ოსმალეთის ელჩმა რუმინიის მეფეს ხონთქრის წერილი გადასცა, ხონთქარი სწერს.—ოსმალეთი ვერ დასთმობს სტრატეგიულ საზღვრებს, რომელშიც ადრიანოპოლიც მოყვებაო.

— ბელგრადიდან ოთხი და მოწყალებისა და დოლგორუკის მეუღლე სკოპლეში ხოლერიანთა მოსავლელათ წავიდენ.

— სოფიას მივიდა მოსკოვის წითელის ჯვრის საზოგადოების სანიტარული რაზმი.

— პალანკის ოლქიდან გაქცეულმა ათმა კუცოვლახმა სოფიას ამბავი მიიტანეს—სერბიელებმა ჩვენი სოფლის ხალხი ამოხოცესო.

— ბუქარესტში მშვიდობიანობის შემებლათ ელჩები ჯგუფ-ჯგუფათ დაიყვენ.

— საბერძნეთის მეფემ ვენეზილოსს დეპეში გაუგზავნა და აცნობა—ბულგართა ცნობის წინაამდეგ, ვითომ სერბიელები კუცოვლახების მიმართ სიმკაცრეს იჩენდენ, პროტესტს ვაცხადებო.

— შანხაიში მეომბეხენი დამარცხდენ და მათი რიცხვი ახლა 1000 კაცზე დადგა.

— დასავლეთსა და შუა ამერიკაში სიცხისგან 36 კაცი მოკვდა.

— ავსტრიამ განაცხადა—სანჯაკს დავიჭერ, თუ სერბია და საბერძნეთი თავის მოთხოვნილებას არ შეამცირებენო.

— ტალატბეიმ სთქვა:—ოსმალეთს რუსეთის მეგობრობა სურს, მაგრამ ადრიანოპოლს კი ხელიდან ვერ გაუშვებსო.

— ცნობაა—საბერძნეთმა სამი დღით ზავის ჩამოგდებაზეც უარი განაცხადაო.

## ჩვენ და ისინი.

ყოველგვარი მოღვაწეობა, მუშაობა, არჩევნები საზოგადო დაწესებულებებში და განსაკუთრებით სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები მეტისმეტათ საინტერესო მოვლენაა ჩვენში, ჩვენი საზოგადოებრივობის დასახასიათებლათ. არაოდეს ისე კარგათ არ მოჩანს ჩვენი თავი, ჩვენი მისწრაფება, ჩვენი იდუმალი განზრახვები, როგორც ამ დროს. ის საბედისწერო საქმე, რომელიც მოითხოვს პირდაპირს და გადაჭრილს პასუხს, ერთიანად ხდიან ნიღაბს ყოველ იმ საზოგადოებრივ ჯგუფებს, რომელნიც საზოგადო ასპარეზზე გამოდიან ისეთი იარლიკ-პლატფორმებით, რაც საზოგადოებრივ ჯგუფის ნამდვილ მიმართულებას სრულიად არ შეეფერება.

ამნაირათ, არჩევნები—ჩვენი საზოგადოებრივი ძალების ურთიერთობისა და სულისკვეთების უტყუარი სარკეა, იგი ჩვენი ცხოვრების ყოველი კუნჭულის გამოხატულობაა. ცხადია, ისტორიკოსი ან მკვლევარი ამ არჩევნების ამბავს მეტისმეტი სიფთხილით უნდა შეეხოს, რომ თავის რეპროდუქციით, თავის ანალიზით საზოგადოებას წარმოუდგინოს ნამდვილი სახე ჩვენი ცხოვრების, ჩვენი პარტიების.

არჩევნების საშვალებით ჩვენი პოლიტიკური პარტიების დახასიათება უკვე თავს იდვა ჩვენში „მერცხალი“-ს თანამშრომელმა, ცნა-წყლიანმა ბ. მანმა. თავის არითმეტიკული ანგარიშებით მას დიდი გავლენა მოუხდენია მის თანამოაზრე ბ. X-ზე, რომელიც დაფაცურებულა და მანის მზგავსი წერილი მოუთავსებია მუშების ჟურნალში პეტერბურგში „Наша Заря“-ში (ლიკვიდატორების ორგანოა) 1913 წ. მე სწორეთ ამ წერილების ერთ ხასიათს მინდა მივაქციო მკითხველის ყურადღება, რადგან იგი სრულიად ვერ ამართლებს იმ პრეტენზიას, რომელზეც უფლებას აცხადებენ მისი ავტორები. სახეში მაქვს სწორეთ ის გარემოება, რომ მანებ-X-ები არჩევნების ანალიზით სრულიად ყალბათ და დემაგოგიურათ ხსნიან და ახასიათებენ ჩვენში პარტიულ ძალთა განწყობილებას.

ასეთი მიდგომილობა და ცალმხრივობა სამწუხაროთ მტკიცეთ დამკვიდრებულა დღევანდელ სოციალდემოკრატიულ ლიტერატურაში. მანი, X—და სხვები თავის კვლევა-ძიებით უმთავრესათ ეწინააღმდეგებიან ფედერალისტებს. „Наша Заря“-ში, მანი-ს ფელეტონებში და ან უკანასკნელ არჩევნებში ქუთაისის ბანკში და მის შესახებ ბ. ნომერი-ს წერილში—„თავადაზნაურთა არჩევნები და **ფედერალისტების** „ოპოზიცია“ (იხ. თანამ. ქვეყანა“ №№ 14—15)—წარმოდგენილია ფედერალისტების საქმენი, ისე, როგორც ეს ესმის ხსენებულ ავტორებს, ხსნიან მას როგორათაც უკარნახებენ ამას მათი გრძნობა სურვილები. მიზანი უკვე არის შედგენილი: ყოველი საშვალება გამოიყენე, რომ გაათახსირო და დასცე ფედერალისტების სახელი, პრესტიჟი, ამოსვარეთ შლამ-ტალახში მისი მრწამსი, მოქმედება, ცხოვრება, რომ ამით საზოგადოების მეტი ადეპტი მიიმხრო და გადიბირო.

ჩვენ სრულებით არ მიგვაჩნია პოლიტიკურ ცხოვრებაში საჭიროთ პირმოთნეობა, კლასობრივი ბრძოლის შესუსტება. კარგათ ვიცით, რომ თანამედროვე საზოგადოებაში ჰარმონიული განწყობილების დამყარება ყოვლად შეუძლებელია, პირიქით, კლასობრივ ბრძოლის სისწორით განვითარება-გაღრმავება მეტათ დაგვიახლოვებს იმ სანეტარო ცხოვრებას, რომლისკენაც ჩვენ მივისწრაფით. მაგრამ ყოველგვარ ბრძოლას თავისი ნიადაგი აქვს, თავისი საზომი, ასე ვსთქვათ, საკუთარი ეთიკაც. პარტია უნდა ებრძოდეს მოწინააღმდეგე პარტიას სწორეთ ისე, როგორათაც იგი ნამდვილ ცხოვრებაშია. განზრახ გადამახინჯება პარტიის ვინაობის, მისი ნამდვილი სახეობის აბუჩათ აგდება—ეს არათუ თავისთავათ მდარე ხასიათის ხერხია, არამედ ასეთი ბრძოლა მავნებელია თვით პარტიული ცხოვრებისთვის, სადაც იჩრდილება პარტიის ნამდვილი ვინაობა—მისწრაფებანი. დღევანდელმა სოციალ-დემოკრატიულმა პრესამ, დღევანდელმა სოც. დემ. მწერლებმა დიდი ზიანი მიაყენეს ჩვენი საზოგადოებრივობის განათების საქმეს მით, რომ სრულიად გახვიეს ბურუსში ჩვენი სხვადასხვა პარტიების ვინაობა და ამრიგათ დომხალი და არევ-დარევა გაამეფეს ჩვენს ხალხში.

დღემდი ჩვენში სხვადასხვა პარტიების არსებობა, მათი პროგრამა, მათი პრაქტიკული პოლიტიკა ნათელი იყო. ვიცნობდით სოციალისტურ პარტია-ჯგუფებს, წვრილ ბურჟუაზიულს, რეაქციონურს. გაიხსენეთ ესერები, ანარქისტები, სოც.-ფედერალისტები, ენესები, კონსტ. დემოკრატები, სოც.-დემოკრატები და სხვები... ნუთუ ყველა ეს პარტიები მხოლოდ ეფემერულ მოვლენით იყო ჩვენში წარმოდგენილი, ნუთუ ისინი ნაძალადევათ იყვნენ შექმნილი და მათ ჩვენს ცხოვრებაში არ ჰქონდათ ნიადაგი, ადგილი? ვერც ერთი სოციალდემოკრატი ვერ გამოვა და ვერ იტყვის, რომ ამ პარტიებს არ ჰქონდათ ჩვენში ნიადაგი, ვერ დაამტკიცებენ, რომ ჩვენი საზოგა-[illegible] სადაც ერთ მხარეზე იდგეს მხოლოდ პროლეტარიატი, ხოლო მეორე მხარეზე ბურჟუაზია ქალაქისა და სოფლის. დღევანდელი სოციალდემოკრატიული პრესისთვის კი დღეს ჩვენში ორი პარტია არსებობს, პარტია სოციალდემოკრატებისა და პარტია ფედერალისტების. პირველი პარტია თავისუფლებისთვის მებრძოლი პარტიაა, უბიწო-უმანკო ხალხით სავსე, ფედერალისტები კი—ხულიგანებია, პირადი ინტერესებით აღჭურვილი—აი, როგორ გამარტივდა და აიხსნა დღეს ჩვენში მთელი ძალთა განწყობილება პარტიული ცხოვრებისა. აიღეთ X-ის წერილი „Наша Заря"-ში, ან მანის ფელეტონები „მერცხალში" და თქვენ დაინახავთ, რომ ბრძოლის ველზე გამოყვანილია ორი ერთიმეორეს მოსისხლე მტერი—პარტია: სოციალდემოკრატები და ფედერალისტები. აიღეთ წერაკითხვის საზოგადოების კრება, აიღეთ ბანკები, თეატრები, სხვა კულტურული დაწესებულებანი.. ყოველი სიტყვა სოციალდემოკრატების წინააღმდეგ გასროლილი აღიარებულია ფედერალისტის ხმათ, ილანძღება ვინმე, იმუქრება, იბრძვის .. ეს უსათუოდ ფედერალისტია. ვინც უნდა აკრიტიკებდეს მარქსიზმს, ვინც უნდა იწუნებდეს სოციალდემოკრატიას, ეს მხარე აუცილებლათ ფედერალისტების მხარეთაა აღსარებული. არჩევნებში ყუთი გატეხეს, ვიღაცამ საეჭვო ენატანიობა გასწია... ყველა ეს ფედერალისტის საქმეა. დაბრმავება იქამდია განვითარებული, რომ მთელი საქართველო ფედერალისტებათ არის წარმოდგენილი.

რა თქმა უნდა ასეთი უკიდურესობა გამოწვეულია საკუთარი მდგომარეობის შერყევით, სიუძლურით, მდარე ხასიათის სიანჩხლით და ამიტომაა, რომ ფედერალისტების აგრე პირადებით დახასიათებას არავითარი გასავალი არ აქვს საზოგადოებაში. ან როგორ ექნება მას გასავალი, როდესაც ყველა ვხედავთ, რომ ჩვენს ცხოვრებაში ამ ორ პარტიას გარდა არის პარტიები, რომელნიც სრულიად არ ინაწილებენ ფედერალისტების და ესდეკების პოზიციას, ხოლო ამ სხვა პარტიებს, რომელსაც ყველა აშკარათ ხედავს სრულიად აფუჩეჩებს სოციალდემოკრატიის გაზეთები და მით ყოველ ამ სხვა რეაქციონურ-ბურჟუაზიულ პარტიების ცოდვას აკვრებს ფედერალისტებს.

ამნაირათ, დღევანდელი სოციალდემოკრატების ანალიზი ჩვენი საზოგადოებრივობისა მეტისმეტათ ცალმხრივი და მკაცრია. ისინი ხედვენ გაღრმავებულ და განვითარებულ ეროვნულ-ნაციონალური მიდრეკილებას ჩვენი ხალხისას, ხედვენ სტიქიურ, ძლიერ აღტკინებას ეროვნული გრძნობებისას და ამ ფაქტის დროზე დასათრგუნავათ, მის ჩასაკლავათ არავითარ ხერხს აღარ თაკილობენ, ურეიან ტერმინებს, ურიგებენ პარტიებს და ყოველი ცოდვის ამღებათ გამოჰყავთ ამ ეროვნული სტიქიის მესვეური—ფედერალისტები.

ეჭვს გარეშეა, ფედერალისტებს დაუდგა მეტად მზიანი დარი. არაოდეს მათი აზრი, სიტყვა და მისწრაფებანი არ მისწვდენია ხალხის გულს ისე, როგორც დღეს. ფედერალიზმი და სოციალიზმი ქართველ ხალხში დღეს ნამდვილ რევოლუციას ახდენს, ის იწვევს მეტად ქედუხრელ ნაციონალურ მოძრაობას, სტიქიონურ აღტყინებას და, ცხადია, ასეთ პირობებში ფედერალისტების ლაშქარი შესაძლოა გაივსოს ჩამოუყალიბებელი ძალებით, სათანადოთ გამოურკვეველი ადეპტებით. მაგრამ ასეა საქმე ყოველთვის, როდესაც მოძრაობა ფართე ხასიათს იღებს, როდესაც ხალხი ერთნაირი ენტუზიაზმით იმსჭვალება. განა ჩვენ არ ვიყავით მოწმე 1905 წელში სოციალდემოკრატიის პარტიის ვაჭარ-მრეწველებით გავსებისა? მარა მაშინ ვინ ამბობდა მის შესახებ რამეს? ის თავიდან, აუცილებელი გარემოება იყო, რასაც სათანადო ძალაც და სიუძლურეც შექონდა პარტიაში. მაშინ ხომ აუარებელი იყო ფაქტები სოციალ-დემოკრატიის სახელის გასაწბილებლათ, რომ ჩვენ პირების სივაგლახიდან გამოგვეყვანა დასკვნა სოციალ დემოკრატიის სივაგლახეზე.

დღეს სწორეთ ასეთ მდგომარეობაშია სოც.-ფედერალისტები. მათი პარტია აივსო ხალხით, უკეთ, ხალხის თანაგრძნობით და იმ გარემოებით არავინ უნდა ისარგებლოს, რომ ამ საერთო ენტუზიაზმით გატაცებული პირები ფედერალისტების გვერდში იმყოფებიან დღეს და სტიქიურათ ემსახურებიან იმ საქმეს, რასაც სხვა ფორმაში და სხვაგვარათ შეასრულებდა თვით ფედერალისტები. ეს ძალები ჯერ კიდევ არაა ფედერალისტების ნამდვილი ძალები. ეს მხოლოდ რეზერვია პარტიის, რომლიდანაც მომავალში ჩამოყალიბდება ჯარი. ამიტომ ამ რეზერვის სტიქიური მუშაობის პასუხისმგები ვერ იქნება სოც.-ფედერალისტები. ეს უნდა იცოდეს ჩვენმა მანებმა, X-ებმა და ამის მიხედვით გაგვიწიონ ბრძოლა, თუ უნდათ ამ ბრძოლას რაიმე ანგარიში გავუწიოთ.

თ. ღლონტი.

# ახალი ამბავი.

დედის თხოვნით სამხედრო მფრინავის ცომაიას ცხედარს ქუთაისში მოასვენებენ დასაკრძალავათ.

✦ ამასწინათ დაპატიმრებული სერგი ერისთავი 7 დღით გაათავისუფლეს სატუსაღოდან. 7 დღეს შემდეგ იგი ასხაბადს გაემგზავრება. ადმინისტრატიულათ გადასახლება აქვს გადაწყვეტილი ხუთი წლით.

✦ რაჭა-ლეჩხუმის სოფლებიდან ცნობებია, რომ წელს შედარებით სხვა წლებთან კარგი მოსავალი იქნება, თუ სიცივეებმა არ შეუშალა ხელი.

✦ ჟენევის საუნივერსიტეტო საბჭოს, ჟენევის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საზოგადოებრივი უფლების კათედრაზე პრივატ-დოცენტათ ქართველი დეო კერესელიძე დაუნიშნავს. ეს პირველი მაგალითია ჟენევის უნივერსიტეტში, რომ კავკასიის მკვიდრი პრივატ-დოცენტათ ინიშნება.

✦ გერმანიაში, ქ. ჰესენში, წელს, ივლისში ოლიმპის ვარჯიშობის დროს 400 ს კაცში ოთხმა „შევარდენმა" გაიმარჯვა და ამ ოთხში ერთი ქართველი მაგრე უთვიანია, პოლიტეხნიკუმის სტუდენტი.

✦ 18 ივლისს, ბათომში ადგილობრივ ვაჭარ-მრეწველთა კრებამ დაადგინა ბათომის ნავსადგურიდან გატანილ ფუთ შავ-ქვას მეოცედი კაპიკი დაადვას ბაჟათ და სხვა საქონელს კი მეოთხედი კაპიკი.

✦ სოხუმსა და მის გარშემო მდებარე სოფლებში 14-დან 16 ივლისამდი საშინელი წვიმები ყოფილა. გაფუჭებულა ბოსტნეულობა, ბაღების, თუთუნის პლანტაციები და სხ. ზარალი დიდი ყოფილა. მთებში მეხისგან ცეცხლი გაჩენილა, მაგრამ წვიმებს დაუქვრია. მთის სოფლებთან დამოკიდებულება დროებით შეწყვეტილიაო.

✦ დღეს ქართულ თეატრში ქართული დასის მსახიობთაგან გაიმართება ქართული სახალხო წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება დ. ერისთავის ცნობილი დრამა „სამშობლო".

✦ მომავალი სამოსწავლო წლიდან ოზურგეთში გაიხსნება ორი პირველდაწყებითი საქალაქო სასწავლებელი და ქალთა უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებელი.

✦ 16 ივლისს ხარაგაულის სადგურზე მატარებულმა შუა გაკვეთა ვიღაც უცნობი, რომელიც მატარებელს ქვეშ ჩავარდნილ დედაკაცს შველოდა.

✦ ხანგძლივი გვალვას შემდეგ ოდიშის თითქმის ყველა ადგილას წვიმებმა გამოაცოცხლა ნათესი.

✦ ზუგდიდში დააპატიმრეს ხეთას სატუსაღოდან გაქცეული კატორგელი კედია.

✦ მიწათ მოქმედების დეპარტამენტი მომავალ შემოდგომაზე მოახდენს თფილისში ამიერ-კავკასიისა და თურქესტანის მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტების წარმოდგენელთა კრებას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ კერძო მევენახენიც.

✦ თ-დი გ. დ. წერეთლის მამულში წირქვალში შავი-ქვა ამოჩენილა მამული რამდენიმე ათას დესიატინას შეიცავს.

## მოწერილი ამბავი.

**დიდი-ჯიხაიში** (ქვემო იმერეთი).

თითქმის ერთ კვირაზე მეტია, რაც წვრილი კრედიტის ინსპექტორი ბ. ჯაფარიძე იძიებს იმ ბოროტმოქმედებას, რომელიც თურმე სისტემატიურათ წარმოებდა დიდ-ჯიხაიშის ბანკში. ეს ამხანაგობა ოცდახუთი წელია მოქმედობს და ამ ბოლო წლებში საქმეთა წარმოება პირდაპირ დანიშნულებას აცდა, რის გამო ხალხში დიდი სიყვედურები ისმოდა მოსამსახურე პირებისადმი, როგორც ახლა გამოირკვა თურმე ყველაფერი რიგზე არ ყოფილა და საგრძნობი თანხა ყოფილა გაფლანგული.

სოფელ როხში (ქვემო იმერეთი) ბაგინეთის მცხოვრებ ქარჩხაძეს რევოლვერით მოუკლავს ვინმე სადემეტროელი ჩიკვაიძე. მკვლელობის მიზეზი გამოურკვეველია.

— სოფელ[illegible]დან გვწერენ, რომ ით-თავი ჩამოუხრჩვია სოფ. უხუთის მცხოვრებს ხურციძეს. აღსანიშნავია, რომ ამას წინათ ამ ხურციძის ძმამ დამბაჩით მოიკლა თავიო.

— ლანჩხუთის ინტელიგენტ ვაჟებს და ქალებს განუზრახავთ ბახმაროზე საექსკურსიოთ წასვლა. თუ ვისმეს სურს ამ ექსკურსიას გაყვეს, შეუძლია მიმართოს ფერშალ ორაგველიძეს, ხოლო გზისა და ხარჯისთვის საჭიროა 3 მან. და 10 შაური. ბახმაროდან დაბრუნებისას ექსკურსია შემომქმედის მონასტერს დაათვალიერებს.

# კვირიკე.

პროტესტანტები კვლავ აწრიპინდენ პროტესტებით. ეტყობა, ძაან მაგრათ დაადგეს ფეხი იმ მიკვნეტილ კუდზე, რომლის რიკი და შერჩენიათ. მოკლე, მეტიაიანი ვირთაგვას მაგვარი კუდისა.

ყოველთვის ასე იქცევიან, როცა „მიაჭირდებათ".

აფრენენ გზირებს, დატრიალდებიან ეს მართლა რო „ვანკა ვსტანკები," თავის უხვევენ შეგნებულნი, არა ერთგზის შეგინებულნი, თავის შეუგნებელ, ვითამ თანამოაზრეთ და აცხობენ საპროტესტო ეპისტოლებს.

ეს საპროტესტო ბარათები მათი სტიქიაა. ღვთით, ამისთვის არც არავინ აჯარიმებს მათ, არც გაზეთს უხურავს და რა ეხარჯებათ სიყალბისა და პროვოკაციის მეტი... დაესხმით რეტი, როცა აუწვავენ კუდს, შეისვრიან ქუდს და ცხებაბა პროტესტებისა... ვიცით მათი ფასი ამ პროტესტებისა.. ქართულ ანბანში, ღვთით, ოცდათექვსმეტი ასოა; ყოველ ხმოვანზე თუ უხმოზე ოცდათექვსმეტი ათასი გვარი და სახელი მაინც მოყვება... დასწერე პროტესტი და ჩაამწკრივე ეს ასოები ბოლოში. დარჩება მათებურათ დამტკიცებული, ბეჭედ-დაკრული საბუთი.

ასეთი საბუთებით აჭრელებულია „თანამედროვე ქვეყანა"—ეს გაზეთი, რომელიც გაზეთილია დემაგოგიური მახოხით... შემთხვევაში, მახლას, მათ სწყალობს გოგიცა და მაგოგიც...

მარა განა ეს პროტესტები ისეთი საშიშია და რასმე საფრთხეს წარმოადგენს, რო ქვევით იშვიათად აწერია სახელ-გვარი?..

აი, მესმის გაბედული ბიჭი—ნ. ჩხიკვაძე! ლიტონათ გამდგარა და მისთანა მაგარი პროტესტი შეუთხზავს და შიგ უხლართ-ჩაუქსოვია თავის სულიერი განცდა და იდეის გამოხაზულება და მოფორთხვილება, რომ, ღმერთმანი, მინდა ფორთხვი-ფორთხვით მივიდე მის წინაშე

# ფიქრები სამშობლო ლიტერატურაზე.

## XII.

**ჩემი კრიტიკის „კრიტიკის" გამო.**

ჩემმა წერილებმა (იხ. „სახ. გაზ." №№ 791, 792, 793.) ვ. რუხაძის პოეზიის შესახებ ძალიან გააბრაზა „მერცხლის" „კრიტიკოსი" ბაქრაძე და მან მთელი თავისი „მძიმე არტილერია" მომართა ჩემს წინააღმდეგ, „გაანადგურა" ჩემი კრიტიკა და შემდეგ ნასიამოვნებმა და კმაყოფილმა თავის „ნაშრომი"-თ, ბავშურის გულუბრყვილობით იკითხა: „მაშ რაღა დარჩა პაპავას კრიტიკისაგან?" და თვითვე დასძინა—აღარაფერიო!

საშინელი მკაცრი და ულმობელი ბძანებულა ჩვენი „კრიტიკოსი"...

აბა, რა საჭირო იყო ჩემისთანა პატარა, პრეტენზიებს მოკლებულ კაცისათვის ამდენი ტყვიაწამლის ხარჯვა (ბ-მა ბ—ძემ თავის წერილები 31 იანვარს დაიწყო და 17 თებერვალს „ღირსეულათ" დაასრულა) და ამდენი ბუმბერაზების უადგილოთ შეწუხება?

მაგრამ ბაქრაძემ იგრძნო, რომ პოზიცია შერყეული აქვს, მის აღსადგენათ საჭიროა ძლიერი რაზმი და მან გამოიყვანა ჩემს წინააღმდეგ: მიხაილოვსკი, ჰეინე, ჰიუგო, რესკინი, გიუიო, შექსპირი არ დატოვა ალ. ჭავჭავაძე, ილ. ჭავჭავაძე, აკაკი, ბარათაშვილი და სხვ.

არტილერია მართლაც ძლიერია და მათი შესამუსრავი ძალა მე არ შემწევს, მაგრამ ეგ ჩემში არ იწვევს სერიოზულ საფრთხესა და შიშს და მაინც ვერ ვხედავ მის „ნაწარმოებში" ისეთ კრიტიკას, რომელიც სერიოზულ მოპყრობას მოითხოვდეს ჩემგან... მაგრამ არც ზოგიერთი ჩემი ნაცნობები და მეგობრები არიან სულ მართალნი, როცა მირჩევენ—ამ კრიტიკულ შარჟზე პასუხის გაცემისაგან თავი შევიკავო.

რათა? ბ-ნი ბაქრაძე, რამდენათაც მას ვიცნობ, არც იმდენათ ბავშია, რომ ზოგიერთ თავის შეცთომებს ვერ მიხვდეს და მომავალში მაინც არ გამოასწოროს. მას ხშირათ წაუტეხია ფეხი ჩვენი გაზეთების ფურცლებზე, მაგრამ სწრაფათ ჩაჩუმებულა და მოწინააღმდეგის გაკვეთილებით უსარგებლია, ამ მხრით ის მის თანამოაზრეთა ჟინიანობას და ამოჩემებას არ იზიარებს და არც სულ უბრალო დროს დაკარგვა იქნება მასთან დამშვიდებული ბაასი და ზოგიერთი ჭეშმარიტების განმარტება... გარდა ამისა მისს ბანაკში ამ დარგში ბ-ნი ბ—ძე ავტორიტეტათ ითვლება და ამიტომ არც ისე უადგილოა ამ „ავტორიტეტის" გონებრივი დოვლათის გამომზეურება, რომ უფრო აშკარათ ნათელ ვყოთ მისი რაზმის გონებრივი იარაღი.

ყველა ამასაც რომ თავი მივანებოთ, ბ-ნი ბაქრაძის პასუხის გაცემა მაინც საჭიროა, იმდენათ, რამდენათაც ეს პასუხი შეეხება ვ. რუხაძეს. ყველამ უწყის, რომ ის დიდი ხანია, რაც მწერლობს და წელს 20 წლიწადი შესრულდა, რაც მან კალამი ხელში აიღო და მუზას დაუმეგობრდა. ჩვენ ხშირათ ვეხებით იმ მწერალთ, რომელნიც 3—4 წელია რაც მოღვაწეობენ და უკანონო იქნებოდა რუხაძე, კარგა ხნის მგოსანი, უკვე საკმაოთ არ შეგვესწავლა.

ვინც ღრმათ დაუკვირდება ბ-ნ ბაქრაძის აშფოთებას, მის ბრაზმორეულ კილოს და ამის მიზეზებს აღმოაჩენს, მისთვის ნათელი გახდება, რომ ეს „კრიტიკოსი" უფრო სიბრალულის ღირსია, რადგან მას ვერ შეუგნია თავისი ტრაღიკული ყოფა.

საქმე ის არის, რომ ბაქრაძე იმ ჯურის ხალხს ეკუთვნის, რომელთათვის მთელი საზოგადოებრივი მოვლენები, ცხოვრების ყოველი ღრმა პრობლემები მოთავსებულია ვიწრო პარტიულ ფარგლებში. ამ შაბლონით მიდის იგი ისეთ მოვლენასთან, რომლის წიაღი და ძალა ადამიანისათვის საიდუმლოებით არის მოცული და რომელსაც შემოქმედება ქვია. ხელოვნების ძალა ემპირიულათ აუხსნელი, საიდუმლოებრივია და ამის გამო მას ადამიანი ღვთიურ ძალას აწერს.

ბ-ნი ბაქრაძე კი ჩვეულებრივის, შაბლონურის საზომით მიდის ამ საიდუმლოებასთან და წმინდა ვანდალურ აზრებს გამოსთქვამს.

მას იტაცებს განსაზღვრული მსოფლმხედველობა და უნდა ყოველი მოვლენა რეალურათ განმარტოს და ამ credo-ს შეუფარდოს.

აქედან გამოაქვს მას დასკვნაც მის სიკარგე-სიავეზეც: რამდენათაც მოვლენა პირდაპირ ხელს უწყობს ამ მცნებას, იმდენათ ის კარგია, რამდენათაც მოვლენა ადვილი გადასახურდავებელია უბრალო ძალაზე, რომელიც რეალურ მასალის სახეს იღებს, რომ მიზანს საფუძვლათ დაედოს, იმდენათ ის მშვენიერი და კარგია.

აქედან მისაღებია: 8 საათის სამუშაო დღე, კოოპერატიული ამხანაგობათა პრინციპები, პროფესიონალური კავშირები, რომელნიც ხელს უწყობენ მომავლის იდეის განხორციელებას და ხელოვნებაც, რომელიც პირდაპირ ემსახურება იმავე მიზანს.

ამგვარ მოვლენებს ბ-ნი ბ—ძე დომხალივით ურევს, მთელს მსჯელობას ამაზე ამყარებს და ვერ ხვდება, თუ რა საშინელ ცოდვას სჩადის და რარიგათ შეურაცხყოფს იმას, რის მცოდნეთ თავი მოაქვს, ე. ი. პოეზიასა და ხელოვნებას... აქ, რა თქმა უნდა, იგი წინააღმდეგობაში იკარგება და მისი ტრაგედიაც იმითი გამოიხატება, რომ მას ოდნავაც კი არ გაეგება ეს წინააღმდეგობა და მისი ყალბი საფუძველი. ანბანური ჭეშმარიტების თავიდან დასაბუთება ძნელი და უხალისო საქმეა, მხოლოდ მინდა ცოტათი მაინც განვუმარტო ბ—ძეს თავის შეცთომები.

საქმე ის არის, რომ ისეთი კითხვები, როგორიც არის 8 საათის სამუშაო დღე, პროფესიონალური კავშირები, კოოპერატიული ამხანაგობები და სხვ. მეტათ საყურადღებო და მნიშვნელოვანი კითხვებია, მაგრამ მაინც დროული და წარმავალია. დადგება დრო, როცა ყველა ეგ ვერ დაგვაკმაყოფილებს და უარყოფითი მოვლენათ იქცევა, მაშინ ჩვენ უნდა ვეცადოთ ეგ კითხვები სხვაგვარად გადავეწყვიტოთ და თვითონ იმის წინააღმდეგ გავილაშქროთ, რაც დღეს აგრე საჭირო და აუცილებელი. მრავალი ამგვარ მოვლენებზე შეგვიძლია მივუთითოთ მკითხველს, რომელნიც ობსოლუტურათ ვერ გადაწყდება და რომელთაც მარტოოდენ დროული, წარმავალი მნიშვნელობა აქვთ.

ვრცელდება ეს დებულება ხელოვნებაზეც? რათქმა უნდა—არა. მიჩვენეთ ისეთი შესანიშნავი ხელოვნური ნაწარმოები, რომელიც დროული და წარმავალი იყოს, რომელიც კაცობრიობას რომელიმე საფეხურზე ამოეწუროს და შემდგომ უმნიშვნელოთ ექციოს, უარ-ეყოს, დაეგმოს..

მიჩვენეთ ისეთი დრო, როცა კაცობრიობისათვის მილოსის ვენერა, დანტეს ბეატრიჩე, ბოტიჩელის შემოქმედება, ლეონარდოს „ჯიოკონდა" რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანი" და სხვ. უკვე საჭირო აღარ იქნება და როცა იგი დაგმობს და დაამსხვრევს.

მიმითითეთ ისეთ ეპოქაზე, როცა მოცარტის, ბახის, ბეთჰოვენის, ვაგნერის გლინკას და სხვათა სიმფონიები სავსებით ახსნილი და ემპირიულათ განმარტებული გახდება, რის შემდგომ ისინი თვის მნიშვნელობას დაკარგავენ.

ცნობილმა კრიტიკოსმა კორნფელდმა („О толкованіи художественнаго произведенія") ის უტყუარი აზრი გამოსთქვა, რომ ყოველი მხატვრული მოქმედება ხელოვნების თეორიისათვის სიმბოლიურია და განუსაზღვრელია მისი გამოყენების სხვადასხვაობა, დაუსრულებელია სიმრავლე იმ განსაზოგადოებათა, რომელთათვის პოეტური სახე ალეგორიათ იქცევა". აქედან ცხადია, კითხვაზე რა შინაარსი, რა იდეა უძევს ამა თუ იმ ხელოვნურ ნაწარმოებში, მივუგებთ,—რომ შესაძლო ყოფილიყო

...რა, სადიყო და სად არა, ამ ქა-
...მავონდება... აბასტუმანი... ორი
... ნარდი... ვაი, სად გადავარდი
ჩემო ნოე!
...ჰრავმებს ვერვინ მიხვდება, მარა
...ე დუშა ზანოე"... და აღარ დას-
...პროტესტს...

კვირიკე.

# ქალო!

აბა, გულს რა სურს ვით ჩამოვთვალო,
ხომ გაივსება მთელი რვეული?
შენი თვალები მაწამებს, ქალო!..
მავიწყებს ტანი ლერწმათ რხეული.

შენ ხომ იგი ხარ, ვის სინარნარეს
შურით შესცქერის ვარსკვლავთ კრებული?
ვის ჰანგებს უმღერს, ჰანგებს მგზნებარეს
ღამის მგოსანი შეყვარებული?

შენთვის ჯერ ნიავს არ უკოცნია,
უმანკოების ხარ შენ ასული,
შენთვის განგებას დაულოცია
ბროლის სხეული და ცეცხლის სული.

აბა, გულს რა სურს ვით ჩამოვთვალო,
ან ყველაფრის თქმა რა საჭიროა?
შენი თვალები ზღვა არის, ქალო!..
და ეგ გულ მკერდი მარმარილოა.

გუცა.

7 ივლისი. სანხერე.

# ...ტარა ფელეტონი.

**...მარქსის ეპისტოლე „თანამედრო-ქვეყნის" რედაქციის მიმართ.**

...ბატონებო!"
...ქალო! კარგები მყავხართ! ყველა ...ის მუშათა ხელმძღვანელნი რომ მა-...ს თქვენგან აიღებენ, ჩემს მოძ-...ას აღარა უჭირდა-რა...
...რამ საქმეზე...
...ენც კარგათ იცით, რომ 7—8 წე-...ით რუსი მუშები და მათთან ერ-...ართველნიც, ანუ, როგორც თქვენ ...ი, რუსეთის პროლეტარიატი შებო-...შებოჭილი იყო, გაყუჩებული.
...ლოდ აქა-იქ ვამჩნევდი მათ ჩუმ ...ნვას და ნათლად ვხედავდი, რომ ...ის სურვილი კვალად სუფევდა...
...ისა" და „პრავდის" შევიწროვების ...ლდეგ საპროტესტო გაფიცვებმა ხომ ...ბი ამიხილეს და სრული უფლება ...ჩვენი პოეტის სიტყვები გავიმეორო: ...მომკვდარა, მხოლოდ სძინავს"...
...რამ „თანამედროვე ქვეყანაში" რო ...ტესტი" იბეჭდება ამ ბოლო დროს, ...ლ სხვაა..
...ვე ბარაქალა თქვენ ბიჭობას, რომ ...გიმზადებიათ და გაგითვითცნობიე-...თ ქართვ... კინაღამ წამომცდა ქარ-...ი მეთქი, კავკასიის მუშები...
...თ ისე შეუსისხლხორცებიათ და ...ისებიათ "სიტყვის თავისუფლება", ...წყობრათ აწყობენ გონიერი ადამი-...თვის კი არა, თვით ზნე დაცემულის ...ათვისაც უხეშ და უწმაწურ ლან-...ღვინებას, რასაკვირველია, თუ მარ-... მათივე ნაიზრ-ნაფიქრია და „გარე-... არ არის მიწოდებული საპროტესტო ...ლების პროექტი, რომ მათი კითხვა ...ენებას გვრის, კაცს გულს ეფონება'..
...ამ „თანამედროვე ქვეყანა" გამო-...ოდა, იმ თქვენს „გაპროტესტებულ" ...ეებს ვკითხულობდი და ყოველთვის ... მომერეოდა ხოლმე: არც ერთი ...რი სიტყვა, არავის ლანძღვა... ახლა ... მადლობა ღმერთს, გამოვირკვიე, ...ფხიზლდი...
...ც ერთ ერში აგრე შეგნებულათ ...ძღავი და მეჭორე მუშა არ მეგულება..
...ა, ნახეთ, რა ხელი-ხელ საგოგმანებელი ...ლიტებია: მართალია, ყურს ეხამუ-... ქვემომოყვანილი სალანძღავი ტერ-...ები, მაგრამ, როგორც ზევითაც გწე-..., ისე მშვენივრათ არიან დალაგებული და ლექსივით ერთმანეთზე მიწყობილი, კაცს ეგონება-ზეგარდმო ნიჭით ცხებული ვინმე ლექსს კითხულობსო... რაღაც ორი-სამი ნუმრიდან არის ამოკრეფილი: „თავხედობა," „გარყვნა„ „სულიერი სიღატაკე," „გათახსირება," „ბინძური," „ქვემძრომნი," „დანოსჩიკები," „ბნელეთის მოციქულნი," „ველ-ბაყაყები" და მრავალი სხვ...

განა, არა, გამოვიდა თუ არა, მაშინვე მიიქცია ჩემი ყურადღება «თანამედროვე ქვეყანამ"; თავისი შინაარსით არ გავიდა არც ერთ „სხვა" გაზეთს...

ჩემით ვერც მივხვდებოდი, რომ ამ. ფრ. ენგელსს არ აეხსნა და განემარტა მისი მიმართულება...

შემდეგ კი, მივხვდი რაშიც იყო საქმე, თურმე პირველი ნუმრიდანვე ჩიტომ დაგიწყიათ ლანძღვა-გინება, რომ 4-5 თვე პირში წყალ ჩაგუბებული იყავით და ახლა გინდათ გაქვითოთ... გამჭრიახობაც ასეთი უნდა!

მხოლოდ ეგ არ მომწონს თქვენი რომ სამივე გაზეთისათვის ერთი საზომი გაქვთ, არ არის კარგი...

პატარა ლმობიერება „თემისადმი", რადგან...

მაგ სქელკანიანების წინააღმდეგ საბრძოლელათ კი ერთ საშვალებაზე მიგითითებთ და, იმედი მაქვს, კეთილსინდისიერათ შეასრულებთ ჩემს დავალებას...

აი რა: გაფიცეთ მთელი კავკასიის მუშები და შემდეგი მოთხოვნილება წარუდგინონ „ხაზეინებს„:

1. „იმერეთი" და „სახალხო გაზეთი" მთლად დაიხუროს.

2. „თემი" კი ჯერჯერობით გააფრთხილეთ და თუ არ მოიშლის, მისი დახურვა შემდეგ მოათხოვეთ.

არ შეგეშინდეთ, მთავრობა ხელს არ შეგიშლით, რადგან ეს არც პოლიტიკური გაფიცვა იქნება და არც ეკონომიური.

ორიოდე სიტყვა კერძოთ ნ ჩხიკვაძეს: ადრევე უნდა მიმხვდარიყო, რომ ხსენებულ ორგანოებში მას არ ქონდა ადგილი, მაგრამ უმადლოდეს მათ ქართველურ სტუმართმოყვარეობას...

კითხეთ ჩემს მაგიერ, როდის დააგდიჯეს კალთები ხსენებულმა რედაქციებმა, მაინც და მაინც ბეჭდე ჩვენს გაზეთში ლექსებიო.

ისე ხომ არ მოსდის: იმერელს სახლში არ უშვებდენ დი ფარ-ხმალი თაროს წამოაწყოვო.

ლელო.

# ეს პაწია ფელეტონი.

ზღაპარია განაგონი
და სხვისთვისაც გასაგონი.

ერთ კაცს ვირი მიყავდა ქალაქს გასაყიდათ.

მას თან მისდევდა ფეხდაფეხ მისი 15 წლის ვაჟი.

გაიარეს ცოტა მანძილი. შემოხვდათ მგზავრი.

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს!

— კაცო, შენ ამხელა ყაზახი რო შემჯდარხარ მაგ ვირზე და ბავში რო ფეხით აგიდევნებია, ეგ რა ჭკუაა?!

უთხრა ყვედრების კილოთი მგზავრმა. ვირის პატრონი ჩამოხტა შვილი ვირზე შესვა, და თვითონ კი უკან გამოუდგა გძელი სახრით.

შემოხვდა მეორე მგზავრი.

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს!

— „შე კაი კაცო, ე სახედარზე რო ბიჭი შეგიჯენია, და შენ უკან მიჩანჩალობ, ის არა სჯობს—ორივე შესხდეთ, უფრო ადრე არ მიხვალთ ქალაქს!— უთხრა მეორე მგზავრმა.

ახლა ორივე შეჯდა ვირზე.

მალე მესამე მგზავრიც შემოეყარათ ვიროსნებს.

— „თქვენ, ეი, ღმერთი არა გრწამთ, ორი ყაზახი რო შესკუპებულხართ მაგ თითის ტოლა ვირზე! ცოდვა არაა საბრალო ვირი?!

ხმის ამოუღებლათ ჩამოხტა ძირს ვირის პატრონი, შვილიც მას მიყვა, ოთხივე ფეხები შეუკრეს ვირს, თოკში უშველებელი სარი გაუყარეს, მხრებზე გაიდვეს „ტანჯული" ვირი და გზას გაუდგენ...

...და რა შორსაც ისინი წავიდოდენ, ისე, შორს წავა ყველა ის, ვინც განუსჯელათ აყვება სხვის წაჩიჩინებსა და ფეხის ხმას.

P. S. თქვენც, ბატონნო პროტესტანტებო, დაუფიქრდით საქმის ვითარებას და მერე გამოაცხვეთ თქვენი პროტესტები, თვარა მიგვი ვირ[illegible] „გამართლებთ" და იმ ვიროსნებს—[illegible] თქვენ ჩახვალთ დროზე „ქალაქს".

და ბოლოს თქვენზედაც იტყვიან: Corpus suum periculo objiecere.

ბადრო.

---

...ის ამოწურვა ერთი ობსტრაქციის სა-..., მაშინ იგი შემოქმედება არც პოე-...რი იქნებოდა. გიოტე ირწმუნებოდა, ...მ მას არ შეეძლო სრულებით პასუხი ...ცა კითხვაზე: ,,რა იდეა დაუდვა მან ...რკვლათ არა თუ შესანიშნავ „ფაუსტს" ...ციონალურ ელემენტებით აღსავსესა და ...ომის á these-თ დაწერილს, არამედ ...ორკვატო ტასო''-საც კი...

...შორს ნუღა წავალთ. ავიღოთ შემოქ...ები როდენი-ა: ,,აზრი'', ,,კოცნა'', ...ურჟუები და კალესი, ,,ბალზაკი'' და ... სხვ., უკანასკნელნი მით არიან აღ...შნავნი, რომ მათი მნიშვნელობა დრო...ი არ არის. როდენი უმთავრესათ ...ჯვის პოეტი მოქანდაკეა; არა მონუ...ტანჯვის, არამედ აღშფოთებულის, ...ელიც დაუცხრომელია თავის ვნებით ... დაუღალავათ იწვევს ზეცას... მაგრამ ...მოტივი, თავისთავათ უკვდავია, რომე...ც მხოლოდ ფორმით იცვლება კაცო...ობის სვლის საფეხურებზე, როდესაც ...ადიულის სახეებით აღიბეჭდავს. ეს ...ეებია, რომელთა მიერ გამჟღავნებუ...ი სულიერი ტრაგედია კაცობრიობას ...ველ ეპოქაში ერთნაირის სიძლიერით ...ხატავს ტანჯვის პრობლემას, რომე...ც მუდმივია, მიუხედავად იმისა, რომ ...ცვლებადია ფორმა და მიზეზებიც ამ ...ტანჯვათა.

...როდენის ბალზაკი, მარტო ის ბალზა... არ არის, რომელმაც შექმნა: ,,კა...ობრივი კომედია''. არამედ ყოველი ...ერი პიროვნება, რომლის სახე ლა...ტინის სიტყვებით, მთელი სტიქიაა, ...მაყე., და რომლიც თავის მძიმე ბუ...ნებაში ატარებს საიდუმლოებრივ დემონიურ დასაწყისს...

ამრიგათ, ჩვენ დმვინახეთ, რომ ხელოვნური შემოქმედება მარადიული და უკვდავია; იგი დროისა და სივრცის გარეშეა და ამიტომ არ შეიძლება მისი მნიშვნელობა გაიზომოს სადღეისო კითხვების სამსახურით.

შესაძლოა რომელიმე მხატვრული სახე კაცობრიობამ სადღეისო კითხვის სადღესასწაულოთ გამოიყენოს. მის მსოფლხედვას შეუფარდოს, მაგრამ ეს მაინც არ არის უმთავრესი დანიშნულება ხელოვნურ ნაწარმოებისა, რადგან მისი სახობა, როგორც დავინახეთ, უკვდავი და მარადიულია, მიუხედავად იმისა მიაღწია კაცობრიობამ რომელიმე მიზანს—თუ არა. მთელი შეცდომა, ბაქრაძისებურად მოაზროვნე, ,,კრიტიკოსების'' იმაში მდგომარეობს, რომ მათ არ შეუძლიათ გარეშე დღიურ, დროულ კითხვათა სხვა რაიმე საზომით მივიდენ, რომელიმე მოვლენასთან. ამგვარ აზროვნებასაც თავისი ისტორია აქვს. მე შემთხვევა მქონდა აღმენიშნა ბ-ნ ფ. მახარაძის მიერ გამოთქმული ვანდალური ,,თეზისები'' ,,ვეფხის ტყაოსნის'' შესახებ, რომელიც მისის აზრით უარსაყოფია, როგორც მქადაგებელი მონურის წესწყობილებისა და უბრალო სიყვარულის ძალისა.

მაგრამ ეს ხალხი მაინც თავისას არ იშლის და უკიდურეს უტილიტარისტულ აზრებს დღესაც ლადებს ხელოვნების შესახებ.

ამ შეხედულებას მათ წრეში დღესაც გასავალი აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნების მეცნიერებამ კარგა ხანია უარყო ეს უკიდურესობა და მის მომაკვდინებლად აღიარა.

ბ-ნი ბაქრაძეც ამ ძველ ჰანგებზე მღერის და მას, რამდენიმე დღის შემდგომ, თავისი მიმდევრებიც აღმოუჩნდა, რომელთაც ,,მერცხლის''-ს ფურცლები შეამკეს ამ ვანდალუ'ის აზრებით.

ესენი არიან: ვიღაც ,,რეპორტიორი'' და ბ-ნი მოსული. პირველზე არას ვიტყვი იგი ოხუნჯობს მეტად უგბილოდ, ხოლო მეორე სიტყვა-სიტყვით იმეორებს პოეზიის შესახებ ბ-ძის დებულებებზე და დილეტანტურ აზრებს გამოსთქვამს ვაჟაზე და გრიშაშვილზე.

იგი აღნიშნავს, რომ ვაჟა კარგია, მაგრამ მისი პოეზიის მოტივები არა სწამს, რადგან ბრძოლას არ ქადაგებს და სიყვარულს უმღერის; მით უმეტეს დასაგმობია გრიშაშვილიო.

ამის შ მდეგ იგი ამოწერს, ბაქრაძის მიერ მრავალჯერ ნაწვალებ, ჰეინეს ლექსს: ,,ნუ, ნუ წუწუნებ, ვით ეს ვერტერი''... და სხვ. და გონია თავისი დილეტანტობით უფრო დაასაბუთა ლირსეულ მასწავლებლის, ბ-ძის ყალბი აზრი. ჩვენ ქვევით დავინახავთ, თუ რა ცუდად იცნობენ, ეს ,,კრიტიკოსები'' თვით ჰენრიხ ჰეინეს და რანაირ ცილს სწამებენ მას.

ხოლო ჯერ კი გავყვეთ ბ-ნ ბ-ძის ულოღიკობას და მისი ავან-ჩავანი გამოვამჟღავნოთ.

აკ. პაპავა.

(შემდეგი იქნება)

---

ქვემომოყვანილი ლექსი (პირველი სვეტი) ვინმე ლეჩხუმელისა ბაქოელ ფილიპეს სუფთა „წყაროში" იყო დასტამბული ამ ლექსის პასუხი (მეორე სვეტი) მეორე-მესამე დღეს მოგვივიდა ჩვენ, მაგრამ, „წყარო« მოისპო და ჩვენც თავი მივანებეთ. გავიდა ხანი და ფილიპემ თავის სისუფთავე ქუთათურ „თანამედროვე ქვეყანაში" გადმოიტანა. ეს „თანამედროვენი'' და მედროვენი სხვადასხვა წერილებისა და პროტესტების სახით ყალბ—დემოგოგიურ გამოლაშქრებას არ იშლიან ჩვენს წინააღმდეგ და დაზოგვის პოლიტიკას, ვარჩიეთ, თავი დავანებოთ..

### „წყაროში"

Безсмысленно прельщаетъ васъ
Борьбы отчаянной отвага—
И ненавидите вы насъ

Пушкинъ.

დიდი მთაწმიდის ძველი დიდება
კიდევ გაზარდა ულირსმა მტერმა,
მზაკვართა სხვერპლი ღირსი შვილები
მუნ დაასვენა ქართველმა ერმა!

მაგრამ თქვენ ვინ ხართ, ფარისეველნო!
ვით ერემია რისათვის გოდებთ,
რათ შეურაცყოფთ ადგილსა წმინდას
ბრბოს რას ჩასძახით, სად მოუწოდებთ?

დიდებულ საფლავს თავს დადგომიხართ,
ამბობთ: „შიგა ძევს ჩვენი მესია,"
ქვენა გრძნობებით, ულვთოთ, უსირცხოთ
დაამახინჯეთ მკვლელების სია!

ბატკნისა სისხლი შეასხით კარებს,
ვით ეგვიპტეში ებრაელებმა,
მაგრამ ამაოთ! თქვენს ყიყინზე
ხელი არ იკრეს ხმალს ქართველებმა!

ქართველი ერის გულს არა სწვდება
თქვენი ძახილი საბედისწერო,
კვლავ ობლები ხართ, ვით ცის სივრცეში
გუნდს მოწყვეტილი, მოდლილი წერო.

ცბიერი ცრემლით დაალბეთ მკვდარი,
მზაკვრულათ კაზმავთ ცივსა სამარეს,
და ამ ლვაწლისთვის ასე თავხედათ
ეპოტინებით სამშობლო მხარეს!

ცრუ გლოვის ზარით, ცრუ ყოფილითა
ვერ გაითვენეთ თქვენ განთიადი
ვერვინ მოხიბლეთ, ნაყიდ გუნდრუკით,
ვერ მოიყიდეთ ხალხის ლაღადი.

თქვენსავ ბაგეზე დალია სული
თქვენგან შეთხზულმა ბილწმა ამბავმა
უყურეთ შურით ნაცნობსა დროშას
არ გაგიცინათ ბედის ვარსკვლავმა..

რ. ლეჩხუმელი.

### პასუხი

Ахъ ты, безстыдникъ! ахъ злодѣй!
Ты и живыхъ бранишь людей,
Да и покойниковъ порочишь...

Пушкинъ.

დიდი მთაწმინდის ძველი დიდება
უფრო გაზარდა თქვენმა ზვარაკმა.
სისხლით შეღება წმიდათა წმიდა
თქვენგან შეთხზულმა იგავ-არაკმა,

გიცნობთ, ვინცა ხართ, იუდას კერძნი,
რაც ნათელია—ვეღარ დაფარავთ...
ერის ხმა არის ამის საბუთი..
ამ საბუთს ვერა, ვერ მოიპარავთ...

ჩვენ ისე ვგოდებთ, ვით პეტრე ქრისტეს;
თქვენ უარყავით ქართველთ მესია,
აწამეთ იგი—ყალბი კარნახით,
უნებურ შესდგა მკვლელების სია.

და გარჩობთ სისხლი უმანკო კრავის,—
ასე ადვილათ ვერ მოიშორებთ...
ხმალზე მჭრელია წამების სისხლი,
გახსოვდეთ მუდამ, თავს ნუ ილორებთ...

ობლობა მხოლოდ იმისი ითქმის,
ვისაც მშობელი დედა ყოლია!
აბა, გვიბძანეთ, ვისი შვილი ხართ,
ვი წინ მორბედი, ვის მიმყოლია!

მალე დადგება დრო შეგნებისა,
ოდეს გიცნობენ თქვენი მუშები:
ბრბოცა მიხვდება თქვენს ვინაობას,
და გამოჩნდებით მარქსის ბუშები.

ჩვენ თუ „ღირს შვილებს" ცბიერათ
მოვთქვამთ,—
გვაჩვენეთ თქვენი წრფელი ტირილი:
გაგიძნელდებათ სასწაულის ქმნა
და წამოგცდებათ ,,ქურდის ყვირილი''!

ჩვენი გოდება ქვეყანას ესმის,
მოზარეებათ გვყავს ქართველობა;
მან კარგათ იცის, რომ არ შეგრჩებათ
არცა მელობა და არც მგელობა.

ნაცნობი.

# რუსეთი.

**შახოვის ქველმოქმედება.** ნ. შახოვმა ვ. კოროლენკოს იუბილეს გამო შანიაევის უნივერსიტეტს სტიპენდიების დასაარსებლათ 6 ათასი მანეთი შესწირა. 6 ათასი მანეთი გაიღო აგრეთვე ჩუხლინის პროგიმნაზიის გიმნაზიათ გადაკეთების სასარგებლოთ

**შანიაევის უნივერსიტეტი.** ამ წლიდან შანიაევის უნივერსიტეტი გამოსცემს თავის მსმენელთა ნაშრომებს. ამჟამათ უნივერსიტეტი ბეჭდავს მოწაფე ნ. დავიდოვის ნაშრომს: ,,უდანაშაულოთ დასჯილთა და უდანაშაულოთ სამართალში მიცემულთა დაჯილდოვება''-ს სათაურით... ნ. შახოვმა აღუთქვა ამ თხზულების გამოსაცემათ მატერიალურ დახმარებას აღმოგიჩენთო.

**ახალი კანონპროექტი.** იუსტიციის სამინისტრომ 1910 წელს დაწყებული კატორგის საქმეთა შესახებ კანონპროექტის შემუშავება დაასრულა. კანონპროექტის ძალით უვადოთ კატორგა მისჯილნი და 4—20 წლამდი კატორგელები სასჯელს ციხეში მოიხდიან. გადასწყვიტეს კანონპროექტი განსაკუთრებული სიჩქარით განახორციელონ.

**სინოდი და ათონის ბერები.** ობერპროკურორი საბლერი დასასვენებლათ მიდიოდა, მაგრამ ათონის ბერების რუსეთში ჩამოსვლის გამო, დასვენება სხვა დროისათვის გადადვა. საბლერი დასასვენებლათ მაშინ წავა, როდესაც გამოირკვევა სინოდის დამოკიდებულება ხსენებულ ბერებთან ბერებს შორის ბევრია სისხლის სამართალში მიცემული. ზოგიერთი ბერი თავს რუსეთის ქვეშევრდომათ არ სთვლის.

**მეზღვაურთა და ,,ხულიგანთა'' შეტაკება.** ნარვაში რამდენიმე მეზღვაურს ,,ხულიგანებთან'' ქუჩაში შეტაკება მოუხდა. შეტაკების დროს იხმარეს დანა, ჯოხი და სხვა. პოლიციელები რომ მოვიდენ, გასისხლიანებული მეზღვაურები მიწაზე ეგდენ. მეზღვაურები დანით არიან დაკუნწული. მათი მორჩენის იმედი არაა. ხულიგანები მიიმალენ.

# უცხოეთი.

**ჩინეთის ამბები.** პეკინიდან ვლადივასტოკში ცნობა მივიდა: გენერალისიმუსმა ხუანსინმა სამხრეთის 16 პროვინციას ბარათი გაუგზავნა და სთხოვა, ნანკინში დელეგატების გამოგზავნა. დელეგატები იმსჯელებენ ნაციის ჩრდილოელთა დესპოტიზმისაგან დამოუკიდებლობის შესახებ. ხუანსინი ხალხის მიმართ პროკლამაციაში მოუწოდებს ხალხს შეადგინეთ ჯარი სამ ნაწილათ და მოაგროვეთ ახლათ განთავისუფლებული ჯარისკაცებიო. პეკინში პალატის სხდომა დეპუტატთა საკმაო რიცხვის გამოუცხადებლობის გამო არ შესდგა. სამხრეთელ დეპუტატთა უმრავლესობა თავის სამშობლოში წავიდა.

**შეიარაღებული ბრძოლა ჩინეთში** უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში ბრძოლის ველზე დიდი ცვლილება არ მომხდარა. სამხრეთელთა გასაძლიერებლათ შანხაიში 4 პოლკი და 2 ბრიგადა ჯარისკაცი მივა. 12 ივლისს შანხაიში აჯანყებულები მთავრობის ჯარს ჩაუვარდა ხელში. აჯანყებულებმა მთავრობის ჯარს ცოტა ხანს შემდეგ თავი დაალწიეს. აჯანყებულთა ჯარის უფროსი გაიქცა. მის ნაცვლად სხვა აირჩიეს.

**ჩეხიის ავტონომია.** ახალგაზდა ჩეხთა პარტია ჩეხიის ხალხის მიმართ მოწოდებაში ბრალს სდებს გერმანელებსა და მთავრობას კონსტიტუციის გაუქმებაში და პროტესტს აცხადებს ანტი-კონსტიტუციონურ მთავრობის კომისიაზე. მოუწოდებს ჩეხიის პარტიებს შეერთდეთო

მიღებულია:
რკინის კოჭები შენობისთვის (Двутавровыя балки)
ნამდვილი ბახმუტის ალიბასტრი.
✦✦ იყიდება ზომიერ ფასათ ✦✦

საბაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში.

| | | თავის ქარხნიდან | | |
|---|---|---|---|---|
| | | 1 ბოთლი | 10 ბოთ. | ყუთი (იაშ.) |
| ბორჟომის წყალი | 1/2 | 25 კ. | 2 მ. 40 კ. | 1[?] მ. 50 კ. |
| | 1/2 | 16½ კ. | 1 მ. 60 კ. | 15 მ. 75 კ. |
| ნარზანი და ესენტუკი № 20 | 1/2 | 14½ კ. | 1 მ. 40 კ. | 13 მ. 50 კ. |

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თანაც სურვილს გამოთქვამს, რომ საარჩევნო კანონი შეიცვალოს. ჩეხიის სოც.-დემოკრატებმა მიტინგი გამართეს ნიშნათ პროტესტისა. პოლიციელები ხალხს წინაალმდეგობას უწევენ.

**სუფრაჟისტ-ქალები.** 14 ივლისს ლონდონში მებრძოლმა სუფრაჟისტ-ქალებმა დემონსტრაცია გამართეს. დემონსტრაციაში 15 ათასი ქალი ღებულობდა მონაწილეობას. დემონსტრატები ერთი ქალის წინადადებით მთავარი მინისტრის ასკვიტის ბინისკენ გაემართენ. გზაში პოლიციელებსა და დემონსტრატებს შეტაკება მოუხდათ. სუფრაჟისტ-ქალები ბრძოლის დროს იარაღათ ქოლგებსა და ჯოხებს ხმარობდენ. ბევრი დააპატიმრეს.

## ომის ამბავი.

**კოლექტიური წინადადება.** დიდ სახელმწიფოთა ელჩებმა პორტას ადრიანოპოლის დაჭერის შესახებ კოლექტიური წინადადება მისცეს. ამბობენ—პორტა დიდ სახელმწიფოთა რჩევას დაიჯერებს და ლონდონის ტრაკტატს დამორჩილდებაო.

**ავსტრიის შეიარაღება.** ავსტრიის სამხედრო სამინისტროში ჯარისკაცთა რიცხვის გამრავლების შესახებ კანონ-პროექტს სისწრაფით იმუშავებენ. ამ კანონ-პროექტის განხორციელება ჯარს 50 ათასი ჯარისკაცს მოუმატებს. ავსტრიის მიერ ასეთი ზომების მიღებას სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ამბებს უკავშირებენ.

**ოსმალეთის გადაწყვეტილება.** ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტმა გადასწყვიტა ადრიანოპოლი არავის დაანებოს, თუნდა ამის გამო ანატოლიის ერთი ნაწილიც დაეკარგოს. სტამბოლში საომარი მზადება ჯარი გადაყავ-გადმოყავთ. ოსმალეთს შიში აქვს ბალკანეთის სახელმწიფოები კიდევ არ შეერთდენ და შეერთებული ძალით არ გამოილაშქრონ ჩვენს წინააღმდეგო. სტამბოლიდან ადრიანოპოლს დიდძალი სამხედრო სურსათი იგზავნება. ოსმალებს ადრიანოპოლში დარჩენიათ 150 ზარბაზანი, 50 ათასი თოფი და 100 ათასი ტომარა ფქვილი.

**რუმინია და ბულგარეთი.** დამოკიდებულება რუმინიასა და ბულგარეთს შორის თანდათან უმჯობესდება. ბულგარეთს რუმინიის მთავრობის დიდი იმედი აქვს; ფიქრობს—რუმინიის მთავრობა სერბიისა და საბერძნეთის შოვინისტებზე დიდ გავლენას იქონიებსო. რუმინია სოფიას დაიჭერსო ბულგარლებს ახლა ამის შიში არა აქვთ:

**სოფიაში.** რუსეთიდან მიღებულმა ცნობებმა, რომ რუსეთი ყოველ ღონისძიებას მიიღებს, რათა ადრიანოპოლი ბულგარლებს დარჩესო, სოფიის მცხოვრებლებზე კარგი გავლენა მოახდინა. ხალხი ცოტათი დაწყნარდა და რუსეთისადმი თანაგრძნობა გაძლიერდა.

## ხ ო ნ ი.

იმ კვირას აქაურ თეატრში ლ. ანდრეევის ცნობილი პიესა „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“ წარმოადგინეს.

თუმცა ეს პიესა სტუდენტთა ყოფა-ცხოვრების ნამდვილ სურათს არ წარმოადგენს, მაგრამ იმდენათ ნიჭიერათ და ლამაზათ არის დაწერილი, რომ მსმენელზე კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. ამით აიხსნება ის, რომ ამ პიესას რამდენიმე წლის განმავლობაში როგორც რუსეთში და ჩვენშიც ხშირათ არდგენენ და ხალხიც ხალისით ეტანება.

ჩვენს პატარა და ღარიბ სცენაზე, რასაკვირველია, ამ პიესის წარმოდგენას სათანადო შთაბეჭდილების მოხდენა არ შეუძლია. თუმცა ბ-ნ რეჟისორს როგორც სჩანს, შრომა არ დაუზოგავს და ცდა არ დაუკლია, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ—„ავსა კარგათ ვერვინ შეცვლის —არ საქნელი არ იქნების“... თვალში გვეცემოდათ დეკორაციების სიღარიბე და უმთავრესათ სცენის სიპატარავე და მოუწყობლობა.

საერთოდ კი პიესამ და თამაშმა დამსწრე საზოგადოებაზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. საზოგადოებაც ბლომათ დაესწრო.

კიდევ მივმართავ ხონის საზოგადოებას და გამოვსთქვამ სურვილს, რომ ის იშვიათი სიხალისით მიდიოდეს ქართულ წარმოდგენებზე რათა იქ დასტკბეს და თეატრის აყვავებასაც ხელი შეუწყოს.

ორიოდე სიტყვა დრამატიულ სექციის გამგეობას.

ისეთი უწესრიგობა და ხმაურობა, როგორიც სუფევდა იმ დღეს ქანდარაზე, ყოვლად შეუწყნარებელია.

ეს არტისტებსაც და საზოგადოებასაც უშლის...

ქანდარზე მოსიარულე საზოგადოებას უნდა ვუთხრა: კეთილებო, თუ არ გესმით პიესის შინაარსი, მხოლოთ გარეგნულ მხარეს აქცევთ ყურადღებას და ტირილის მაგიერ უშნოთ ხარხარებთ, რათ ღუპავთ ფულს?!. თუ გსურთ სხვებს მოსმენა გაუძნელოთ და ძარღვები აუშალოთ, აბა, ეგ რა ვაჟკაცობაა?!

თეატრის სასარგებლოთ განზრახული სეირნობა არ შესდგა ნებართვის მიუღებლობის გამო. **ვ. კაკაბაძე.**

## ნ ა რ ე ვ ი.

**შემაძრწუნებელი ტრაგედია.** ჩიკონგის ერთი ვაჭრის ოჯახში შემაძრწუნებელი ტრაგედია მოხდა. რამდენიმე წლის წინათ ამ ოჯახის ერთერთი ქალიშვილი უმაღლესი სწავლის მისაღებათ გერმანიაში წავიდა. ქალიშვილის წასვლის შემდეგ ოჯახში მოწყენილობა ჩამოვარდა. ოჯახის მამა შინ სანახევროთ არ იყო. ეს მის ცოლს ეჭვს უბადებდა, ალბათ სხვა ქალთან აქვს საქმეო, ფიქრობდა ცოლი. ეჭვ მორეულმა ქალმა იწყო ქმრის წერილების გახსნა. ერთხელ გახსნილ წერილში ამოიკითხა: დღეს 4 საათზე. ეჭვები ამ წერილმა გაუძლიერა. ღამე არ დაუძინია. უცდიდა 4 საათს. დადგა 4 საათი და მართლაც ქმარი წავიდა. ცოლმა რევოლვერი ამოიღო და ქმარს უკან გაყვა. ქმართან მივიდა ვიღაც უცნობი ქალი. ვერ მოითმინა ეს ცოლმა და ორივეს რევოლვერი ესროლა. ორივე იქვე მოკვდა. მკვდრები სიათლეზე მიიტანეს. უცნობი ქალი აღმოჩნდა მათი ქალიშვილი. ქალიშვილს გაუთავებია უნივერსიტეტი და ხუმრობის მიზნით მამისთვის ხსენებული წერილი მოუწერია. დედა ამ ამბავს შემდეგ ჭკუიდან შეიშალა.

**პირველი ევგენისტური ქორწინება.** ამერიკაში საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ შეუღლდენ ისეთნი, ვისაც საღი ჯანმთელი შთამომავლობა გაუჩნდება, ერთობ გაძლიერდა. ევგენისტური ქორწინების სასარგებლო მოძრაობა ამ უკანასკნელ ხანებში რეალურ სახეს ღებულობს. რამდენიმე დღის წინათ ნიუიორკში პირველი ასეთი ქორწინება მოხდა. მინისტრმა რობერტმა დელი დანაზე ჯვარი დაიწერა. ჯვრის წერა მოხდა პარკში ღია ცის ქვეშ. ქალმა მოაწერა საქორწინო პირობას ხელი და ხმამაღლა სთქვა: მე საზოგადოების წინაშე ფიცს ვსდებ რომ ჩემი ქმრის ყოველგვარი შრომის მონაწილე ვიქნები და ავასრულებ ყველა იმ ვალდებულებას რასაც ჯვრისწერა მავალებს. ჯვრის დაწერამდი სამოქალაქო მოხელე შეეკითხა: ექიმებმა გაგსინჯათ და თქვენი ჯანმრთელობა აღიარა თუ არაო. მოხელემ ჯეროვანი პასუხი მიიღო და ჯვრის წერაც მოხდა.

**სომეხთა რიცხვი.** მთელ დედამიწის ზურგზე სომეხთა რიცხვი ყოფილა 3,665,300 აქედან 1,895,400 სომეხი ოსმალეთში ცხოვრობს; 1,579,500 რუსეთში; 80,400 სპარსეთში; 85,000 სხვადასხვა მხარეში. ამერიკაში მათი რიცხვი ყოფილა 50 ათასი, ეგვიპტეში 15 ათასი, ბულგარეთში 4 ათასი და 16 ათასიც დასავლეთ ევროპაში.

## წერილი რედაქციის მიმართ.

**ბ. რედაქტორო!**

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშვალებით უღრმესი მადლობა ვუძღვნათ იმ პირთ, რომელთაც კეთილი ინებეს და ზედა მაღლაკის უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოს შენობის ასაგებათ შემოსწირეს თავიანთი წვლილი.

დ. ჭიათურიდან მივიღეთ თ-დი სიმონ ნიჟარაძისაგან შეგროვილი 47 მან. 10 შ. შემომწირველთა სია: სამ-სამი მანეთი: ზეინაბ ლაბაძემ, ვალერიან ბერიძემ, ივანე მეძმარიაშვილმა, ყაზარ ბექრანცმა; ორ-ორი მანეთი: გრიშა ლეჟავამ, ალექსი გოგიბერიძემ, გეორგი სევახტოპოლიმ, მიხაკო წერეძემ, ტერენტი ქავთარაძემ, პორფილე თოფურიამ, ვალიკო კრგემლიძემ, ვანო ედიგაროვმა, მავარ არუტინოვმა, ჯიბო აბაშიძემ; პლატონ ბუხნიკაშვილმა 1 მ. 10 შ. თითო მანეთი: სესია ლეჟავამ, ვლადიმერ ნაკაიძემ, სოფრომ ტარუაშვილმა, გიორგი ნანეიშვილმა, იაგორ გურგენიძემ, ოფონა როკაშამ, ისაია გაფრინდაშვილმა, რემანოზ ანჯაფარიძემ, ილარიონ ბერიძემ. მელქისედეგ ნიჟარაძემ 5. მ. ონისიმე თომაძე ტყეშელაშვილმა გადმოგვცა მის მიერ შეკრებილი 19 მან. გიორგი ტყეშელაშვილისაგან 10 მან. ივანე ძეგველოვისაგან 3 მ. ბაგდასარ ოსეფოვისაგან 3 მან. კნეინა ელენე ნიჟარაძისამ შეკრიბა 108 მან. 10 შ. შემომწირველთა სია: შალვა ნიჟარაძემ 25 მან., ონისიმე ტყეშელაშვილმა 15 მან, კნ. სოფ. მიქელაძისამ 5 მ:, სამ-სამი მანეთი: აქ დ. ჯაფარიძემ, ვასილ ნიჟარაძემ, ვასასი აბაშიძისამ, მიშა აბაშიძემ, ილია ჩიქოვანმა, სტეფანე ბექაიამ. ივანე ჩეჩელაშვილმა, ზოსიმე ჩეჩელაშვილმა, პოლიკარტე ჭყონიამ 2 მ. ქენია ნასარიძის ქალმა 2. მ. დანიელ ბუზიაშვილმა 1 მან. იოსებ კემულარიამ 1 მან. ალექსანდრე ახვლედიანმა 10 შ. ნესტორ მარჯანიშვილმა 5 მან. სამსონ მარჯანიშვილმა 3 მან. მალაქია საგანელიძემ 3 მან. ილია ნიჟარაძემ და ნიკო ჩიგოგიძემ ორ-ორი მანეთი; თითო მანეთი: გიორგი გამყრელიძემ, მიხეილ იოსავამ, ალიოშა მარჯანიშვილმა, კოწია მარჯანიშვილმა, ვასილ საგანელიძემ, ბაგრატ რატიანმა, იასონ გოშაძემ, იაკობ ბარათურიამ, ვასილ ხამაშურიძემ, ათ-ათი შაური: ანტონ არზუმანოვმა, გიორგი შარაშიძემ, ალეპკერ ბაგიროვმა, მაშადი უსეინ ჯაფარ ოღლიმ, ალექსანდრე ქავთარაძემ, ბიკტორ ქლენტმა, იონა სურმავამ, გიორგი ფაჩუაშვილმა, არამ სარქისიანცმა, ვანო ბახტაძემ, მიშა გაბისონიამ, გალაკტიონ კვინიკაძემ, ირზა ალიევმა, კოლია ჩიხლაძემ, №№, სოლომონ კოსტავამ, იაკობ შარტავამ, ნიკიფორე ხამაშურიძემ.

დიდი მადლობის ღირსია ყველა, ვინც დახმარება აღმოუჩინეს ჩვენს ღარიბ სამკითხველოს.

ზედა მაღლაკის უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოს გამგე თ-დი ფარნაოზ ნიჟარაძე. ხაზინადარი კნ. ელენე ნიჟარაძისა საქმის მწარმოებელი მ. ჩეჩელაშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი **გ. ჭელიძე.**

## რკინის გზა

**ქუთაისიდან მიდის.**

**თფილისს:** სახალხო 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 10 [...] 6 წ. დ.; ფოშტ. 11 ს. 55 წ. [...] სახ. 11 ს. 27 წ. ღ.

**ბათომს:** სახ. 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 7 ს. 5[...] საღ.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ.; ფოშ[...] 5 ს. 21 წ. დ.

**ფოთს:** საავარაკო 4 ს. 22 წ. დ.; სახ. [...] 5 ს. 10 წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 2[...] საღ.; სახ. 7 ს. 56 წ. საღ.

**შორაპანს:** საავარ. 4 ს. 57 წ. დღ.

**ტყიბულს:** სახ. 7 ს. 50 წ. დილ.; სახ. 3 [...] 45 წ. დღ.

**ქუთაისს მოდის.**

**თფილისიდან:** სახ. 7 ს. დილ.; სახ. 8 ს. 26 [...] საღ.; ფოშტ. 6 ს. 56 წ. საღ. [...] სახ. 1 ს. 26 წ. ღამით.

**ბათომიდგან:** ფოშტ. 1 ს. 20 წ. დღ.; სახ. 1[...] 14 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღ.; [...] 7 საათ. დილ-

**ფოთიდან:** საავ. 10 ს. 3 წ. დილ.; სახ. 1 [...] 20 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ.

**შორაპნიდან:** საავ. 9 ს. 31 წ. დილ.

**ტყიბულიდან:** სახ. 5 ს. 11 წ. დღ. სახ. [...] საათ. 9 წ. დილ.

ქ. ქუთაისში (სობოროსთან

ა. თაბაგარის მაღაზიაში

20 ივლისიდან დანიშნულია

დიდი იაფი ვაჭრობა

ველოსიპედების და სხვ.



ამასთანავე მიღებულია დიდძალი საკერი, საქსოვი და საწერი მაშინები, გრამაფონები და მათი მოწყობილობა.

●●◘ ფასები ძლიერ დაკლებულია ◘●●

აბანო
ძმ. ყორყოლაძეებისა

მიმართეთ პირდაპირ 15 მაისიდან გაიხსნა შესანიშნავი მადნეული წყალი. შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმი) კუჭის და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. ფასი ხელმისაწდომი. [...] სილის რკ. გზ. სადგურიდან ორმოცდაათი საჟენის მანძილზეა. იქვეა სუფთა [...]ნა და სასმელსაჭმელი.

გ. გორდაძის და ს. წერეთლის

ერთად ერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომის და სოხუმის ოლქ[...] უმაღლესი სახსხლი[?] გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩავ-მალცევის ბემსკის [...]ბის ქარხნის, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКО[...]

რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო
ქარხნებისგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილებანი, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი, და სხ.
**ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.**
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65.

საუკეთესო საკვები ცხენებისათვის და საქონლისათვის.

„პატოკსან“.

„პატოკსან“ შეიცავს 42 პროც. შაქარს (სრულიად რუსეთის შაქრის მრეწველთა ლაბორატორიის ანალიზი № 640.

„პატოკსან“ საუკეთესო საშუალებაა საქონლის ღონის შერჩენისათვის და შემატებისათვის (მოხსენება აქ. იოტეიკოსი ლიეჟის შაქრის მრეწველთა კონგრესზე).

„პატოკსან“ ხელს უწყობს საქონელს და ცხენებს საჭმლის მონელებაში, რაც თავის რიგათ ეხმარება შრომის უნარისა და სიცოცხლის უნარის შემატებას,

„პატოკსან“ ხელს უწყობს რომ რძის მომცემ საქონელს რძე გაუუმჯობესოს და დღიური ნაწველიც გაადიდოს.

„პატოკსან“ თავის ნოყიერების გამო ძალიან მარგებელია და ეკონომიური საჭმელი.

ვინც მოისურვებს გაეგზავნება ერთი ფუთი 1 მ. 20 კ. გაგზავნის ფასს ვიხდით ჩვენ. გაგზავნის დროს ყოველგვარი ცნობა და მომხმარებლების აზრი უფასოთ იგზავნება ამიერ კავკასიისათვის.

ერთადერთი წარმომადგენელი ამიერ კავკასიისათვის **„გეორგი რუსინოვ და ამხ.“** თფილისში ვერის დაღმართი № 12 ტელეფონი 11—37 და 11—77. დეპეშით მისამართი: „რუსინოვს თფილისში“.

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.